№ 97 ოთხშაბათი, 5 მაისი 1910 წ. № 97

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება: დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: „Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას 16 მაისს გაიმართება

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება: 1) ქართული ეროვნული სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ. 2) ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან" სიმფონიური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა. 3) „აშენდა საქართველო" სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდგან კ. ფოცხვერაშვილისა. წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შეასრულებს დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან. (თამარ ცბიერი) მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება ქართული მარში იპოლიტოვ-ივანოვის სიუიტიდან „ივერია" სიმფონიური ესკიზის ცოცხალს სურათებს დასდგამს მხატვარი ვ. ზომმერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი. ორკესტრში 40 კაცი.

(4—უ.—1) ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების

გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთა, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, ცხრა მაისისათვის, დილის 11 საათზე, საზოგადოების მუსიკო სკოლის სადგომში (საპიორის ქუჩა, ქლენტის სახლი, № 18).

განსახილველია

1) 1909 წ. ანგარიშის დამტკიცება საზოგადოების მოქმედებისა, სარევიზიო კომისსიის თანადასკვნით, 2) ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლისათვის, 3) საკითხი საზოგადოების წესდების მე-23 მუხლის შეცვლის შესახებ და 4) ამორჩევა საზოგადოების საპატიო და ნამდვილ წევრთა. (უ. 2—1)

15 მაისამდე ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორაში მიიღება იმ პირთა განცხადებები, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზედ მუშაობა. ამავე თვის ოც რიცხვებში გაიმართება **გამოსაცდელი წარმოდგენები.** ამ წარმოდგენებზე დაესწრებიან მხოლოდ გამგეობის წევრები, მსახიობი და პრესსის წარმომადგენელნი.

(5—1) ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

„საარტისტო საზოგად." თეატრი

25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

● ხუთშაბათს, 6 მაისს ●

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება:

I. ქართულად: მოლიერის **ტარტიუფი** მეოთხე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი

II. სომხურად: გ. სუნდუკიანცის **დაქცეული ოჯახი** პირველი მოქმედება რეჟისორი ომ. მაისურიანი.

III. ქართულად: ა. ცაგარლის **ხანუმა** მეორე მოქმედება რეჟისორი კ. შათირიშვილი.

მილოცვები, ადრესები და სხვა.

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი. ზ. ტერდავითიანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საიუბილეო კომისია.

ზედამხედველი კომიტეტი

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს,

ბანკის წესდების მე-89 § ძალით, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისს ბანკის სადგომში 31 მაისს ამას 1910 წელს, დილის 11 საათზე.

თანახმად მე-89-§ შენიშვნისა, კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

კრების განსახილველი საგნები:

1. 1909 წლის ანგარიში,
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლისა;
3. მოგების განაწილება.
4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების რამდენიმე §-სა და განხილვა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისა.
5. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
6. არჩევანი გამგეობის თავმჯდომარისა (თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 26 მარტს 1910 წ. მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა).

და 7. არჩევნები ზედამხედველ კომიტეტის წევრებისა, გამგეობის წევრისა და კანდიდატისა. (3—ნ.—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უფასოდ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. **გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. **ნ. დიხამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. **ა. ბოჩოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. **ვ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—333)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—168)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—116)

ექიმი ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მეხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—175)

ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის სამუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელქიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—62)

ექიმი ა. ა. ბუტულოვისა

კბილისა ქუთაისში

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—35

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—55)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს აღ იღებს. მიხკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—33

ექიმი ნ. ა. დემიდოვი

კბილისა ქუთაისში

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდერიხის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—426)

ამხ. „სორაპანის" გამოცემა

უკანასკნელი ვადა

გიუი-დე მოპასანის

◀ თხზულებაზე ▶

ხელის მოწერისა არის

10 მაისი.

(უ. 6—1)

ახალი დასურათებული

საყმაწვილო წიგნი

„ცხოველების — გამჭრიახობა"

შედგენილი ან. წერეთლის მიერ.

ფასი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი

— სურათით —

„ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი"

ფასი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი"-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაკლება 20%. (6—5)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში

ბადრიძე

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—10

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ქართულ და სომხურ სცენის მსახიობის გ. გედევანოვის იუბილეის გამო კვირის 9 მაისის სურათებიანი დამატება გამოვა ხვალ, ხუთშაბათს, 6 მაისს.

შინაარსი: მსხვერპლი, დრამა ი. გედევანიშვილისა; წეროები, თარგმანი სანგანიძისა. სურათები: გედევანოვის სურათი, გედევანოვი როლებში და ორი კარიკატურა.

ტფილისი, 5 მაისი

სახელმწიფო სათათბირო შეუდგა ერთი ფრიად საინტერესო კანონ-პროექტის განხილვას. ეს კანონ-პროექტი წარმოდგენილია სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს მიერ და შეეხება სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენებას. ვინ არ იცის, რომ დღეს-დღეობით ნოქრების მდგომარეობა მეტად მძიმეა, მათი მუშაობის პირობები აუტანელი და მათი შრომის საფასური მეტად მცირე. ამიტომაც ყოველივე მოწესრიგება ამ დარგში, რასაკვირველია, პატივის ღირსია, თუ კი ის მოსამსახურეთა ცხოვრების გაუმჯობესობას ჰფიქრობს. საუბედუროდ ახალი კანონ-პროექტი სრულიადაც არ სცდილობს მოსამსახურეთა ინტერესები დაიცვას და უმთავრესად სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებათა პატრონების ინტერესებს იცავს. მართლაც, ახალ კანონ-პროექტის ძალით სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს საერთოდ 12 საათს, თუმცა ზოგიერთ დარგში სავაჭრო დაწესებულებათა, როგორიც, მაგალითად, სხვა და სხვა გვარი სანოვაგის მაღაზიებია, ვაჭრობამ შეიძლება 15 საათამდის გასტანოს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, კანონ-პროექტის აზრით სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს უფლება ეძლევათ ზედმეტი ამუშაონ თავიანთი მოსამსახურენი, როდესაც ასეთი მუშაობა საჭირო და საჭიარო არის მათი აზრით. აი, ასეთია ახალი კანონ-პროექტი. როგორც მკითხველი ნათლად ჰხედავს, ეს კანონ-პროექტი სრულიად არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურენი ისევ იმ არა-ნორმალურ მდგომარეობაში არ იქნებიან, როგორშიდაც ამოდენი ხანი იყვნენ. ვიტყვით კიდევ მეტს: მთავრობას სურს სათათბიროს სანქცია მიიღოს და ამით უჩვენოს საზოგადოებას; რომ მისი კანონ-პროექტი „ხალხის წარმომადგენლების" მიერ მოწონებულია და მაშასადამე მოსამსახურეთათვის ხელსაყრელია. მაგრამ დღეს-დღეობით ვინ არ იცის, თუ რა არის 3 ივნისის სათათბირო და რას უნდა მოველოდეთ მისაგან. ის მხოლოდ ფიქციაა წარმომადგენლობით სისტემისა, ის მხოლოდ ფარდა არის, რომლის უკან მთავრობა იმას შვრება, რაც მას მოსწონს და ეპირვება. საინტერესოა აგრეთვე ის, თუ ვის ხელში უნდა იქნეს კონტროლი, რომ ცხოვრებაში ამ კანონის აზრები გატარდეს. კანონ-პროექტის აზრით, ასეთი კონტროლისათვის სრულიადაც არ არიან საჭირო თვით სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მიერ არჩეული პირები ან ორგანო, ასეთ კონტროლს პოლიცია და ქალაქის თვითმართველობები გასწევსო. არას ვიტყვით პოლიციაზე, თვით ქალაქის თვითმართველობები ხომ ბურჟუაზიის ხელში იქმნებიან და მაშასადამე იმ გვარათ დააყენებენ საქმეს, როგორც ბურჟუაზიისათვის, სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებათა პატრონთათვის, არის ხელსაყრელი. თუ ამას კიდევ დავუმატებთ, რომ დღეს-დღეობით დიდი ნაწილი რუსეთის ქალაქების და საერობო თვითმართველობათა შავრაზმელების ხელშია, ნათლად წარმოგვიდგება, თუ როგორი კონტროლი ექნებათ სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებათა პატრონთ და რა ღირსების არის მთავრობის კანონ-პროექტი.

* * *

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

3 მაისის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ გუჩკოვის თავმჯდომარეობით მიიღო რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი. შემდეგ ვოლკონსკის თავმჯდომარეობით შეუდგნენ სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთა ნორმალურ დასვენების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. მღვდელმა იურაშკევიჩმა მოითხოვა, რომ სავაჭრო დაწესებულებების მომუშავენი კვირა-უქმეებში სრულიად განთავისუფლდნენ მუშაობისაგან. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კვირა-უქმე დღეებში „ინოროდცებს" ვაჭრობა უნდა აეკრძალოთო. **გოდნევმა** ამის წინააღმდეგ ილაპარაკა და განაცხადა, კარგი აზრია, რომ კვირა-უქმე დღეებში სავაჭრო დაწესებულებების ქრისტიანი მუშები სრულიად განთავისუფლდნენ მუშაობისაგან, მაგრამ სინიდისის თავისუფლების შეზღუდვა იქნება, თუ მაჰმადიანებს კვირაობით ვაჭრობის უფლება არ მიეცეთო. ორატორმა წინადადება შეიტანა, „ინოროდცებს" უფლება მიეცეთ კვირა-უქმე დღეებში თავისუფლად ივაჭრონო. **გულკინმა** მხარი დაუჭირა წინა ორატორს. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა მილლერმა სთქვა: კანონ-პროექტი ცხოვრების პირობებთან უნდა იყოს შეფარდებული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მარტო ქაღალდზე დაწერილი დარჩებაო. თეორიით სამართლიანი და მშვენიერია, რომ ყველგან კვირა-უქმე დღეებში სავაჭრო დაწესებულებების მუშები მუშაობისაგან გავანთავისუფლოთო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა პირობებია და ჩვენც ამითი უნდა ვიხელმძღვანელოთო. საზღვარგარედ კვირა-უქმე დღეებში სავაჭრო დაწესებულებების ეს სრული განთავისუფლება მხოლოდ ინგლისში განახორციელეს, და ეს კანონის ძალით კი არ მომხდარა, არამედ თვითონ ცხოვრების პირობებიდან გამომდინარეობსო. საკანონმდებლო დაწესებულებანი ერთნაირად უნდა აფასებდნენ სახელმწიფოს ყველა კლასის ინტერესებს. კვირაობით მთელ რუსეთში ვაჭრობა უნდა აიკრძალოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქალაქის თვითმართველობას უფლება უნდა მიეცეთ ადგილობრივ პირობების მიხედვით „ინოროდცებს" ნება დართონ ივაჭრონ ამ დღეებში არა უმეტეს ხუთი საათისა. ჩვენ ცუდ პირობებში ჩავაყენებთ ქრისტიანებს, თუ „ინოროდცებს" კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის უფლებას მივეცით. მთავრობა წინდაწინვე აცხადებს, რომ ვერ მიემხრობა კანონ-პროექტის რაიმე შეცვლასო. სხდომა მილერის სიტყვით გათავდა.

სხდომის განახლების შემდეგ **ენიკეევმა** განაცხადა, ძალიანი უსამართლობაა, როდესაც „ინოროდცებს" უფლებებს უზღუდავენო. ორატორი მაჰმადიანთა ფრაქციას შესწორებას მიემხრო. საქალაქო საქმეების კომისიის მომხსენებელმა ტომაშევიჩმა მოითხოვა იმ ადგილებში, სადაც არა-ქრისტიანები სცხოვრობენ, ქალაქის თვით-მმართველობებს უფლება უნდა ჰქონდეთ სავაჭრო დაწესებულებები არა-ქრისტიანთა დღესასწაულებში დაჰკეტონ და ქრისტიანთა დღესასწაულებში გააღონო. მუშათა კომისიის მომხსენებლმა **კრიუდენეც-სტრუვემ** კომისიის სახელით უარჰყო მეცხრე და მეათე მუხლების ყველა შესწორება. **გაიდაროვმა** სთქვა, შეუძლებელია ეხლანდელ პირობებში ხალხის ინტერესები ქალაქის თვითმართველობებს ჩავაბაროთ, საჭიროა საარჩევნო კანონის შეცვლაო. ზამისლოვსკიმ მხარი დაუჭირა მთავრობის კანონ-პროექტს. დიმ. ამ ეპისკოპოს ევლოგის შესწორების წინააღმდეგ ილაპარაკა. და სთქვა: რამდენადაც ვიცი, პოლონეთში მართლ-მადიდებლების რიცხვი ძალიან მცირეა და არ ვიცით, რისთვის არის საჭირო, რომ პოლონეთის სავაჭრო დაწესებულებების მუშებმა დღესასწაულები იულიუსის კალენდრის მიხედვით იდღესასწაულონო. ტყუილია, ვითომ პოლონეთში მართლ-მადიდებელ მოსამსახურეებს ხელს უშლიდნენ, თავიანთი დღესასწაულები იდღესასწაულონ (მარჯვნივ ხმაურობა: მართალია, თავხედო პოლონელო!)

დიმშა. დიახ პოლონელი ვარ და ვამაყობ კიდეც ამით, სათათბიროში ადგილი არ უნდა ჰქონდეს უსაბუთო ბრალდებებს.

ნაციონალისტების სახელით ალექსეევმა განაცხადა, რუსეთში სახელმწიფო სარწმუნოებად მართლმადიდებლობა ითვლება და ამიტომ ფრაქცია წინააღმდეგია პარჩევსკის წინადადებისა, რომ პოლონეთში მუშებმა გრიგოლის კალენდრის მიხედვით იდღესასწაულონ დღესასწაულებიო. ამის შემდეგ შეუდგნენ კენჭის ყრას. ხმის უმრავლესობით მიიღეს შრომის ჯგუფის შესწორება, რომლითაც სავაჭრო დაწესებულებების მუშები სრულიად უნდა განთავისუფლდნენ კვირაობით, შობის და აღდგომის პირველ ორ დღეს, ათ-თორმეტ დღესასწაულში და გლეხთა განთავისუფლების დღეს. არ მიიღეს სოციალ-დემოკრატების და შრომის ჯგუფის შესწორება, რომ მუშებს პირველი მაისი ედღესასწაულნათ. არ მიიღეს აგრეთვე შესწორება, რომლითაც ქალაქის თვით-მართველობებს უფლება ეძლეოდათ ვაჭრობა ადგილობრივ პირობების მიხედვით კვირა-უქმეებში კი არა სხვა დროსაც აეკრძალათ. 194 ხმით წინააღმდეგ 101 უარჰყოფს კადეტების შესწორება, ებრაელებმა და მაჰმადიანებმა კვირის მაგიერ შაბათი და პარასკევი იდღესასწაულონო. უარჰყვეს პარჩევსკის შესწორება პოლონეთში გრიგოლის კალენდრით ხელმძღვანელობის შესახებ. უკუაგდეს შესწორება, რომ ქალაქის თვით-მართველობებს უფლება ჰქო-

ნოდათ სავალდებულო დადგენილებით შეცვალათ ზემოდ მოყვანილი პირობები.

ეპისკოპოსმა ევლოგიმ პასუხი გასცა დიმშას და სთქვა, მაკვირს დიმშას გამბედაობა და მოურიდებლობა, რაც ვთქვი ყველაფერი მართალია და დიმშას არ უნდა დაავიწყდეს, რომ ხოლმში მართლმადიდებლები 10 პროცენტს შეადგენენ.

ზამისლოვსკის შესწორებით მიიღეს კანონ-პროექტის ის მუხლი, რომლითაც ქალაქის თვითმართველობას უფლება ეძლევა ვაჭრობა ადგილობრივ მცხოვრებთა დღესასწაულებშიაც აკრძალონ. ზამისლოვსკიმ ამ მუხლში შემდეგი შესწორება შეიტანა, ქალაქის თვითმართველობებს მხედველობაში მხოლოდ ქრისტიანთა დღესასწაულები უნდა ჰქონდეთო. ტიზენგაუზენის, მღვდელ გამკევიჩის, კადეტების და საქალაქო საქმეთა კომისიის შესწორებებით მიიღეს კანონ-პროექტის მეოცე მუხლი.

მაჰმადიანთა ფრაქციის წარმომადგენლებმა სირტლანოვმა განაცხადა: რადგანაც სათათბირომ დაარღვია მაჰმადიანთა სარწმუნოებრივი და ეროვნული ინტერესები და თავზედ მოახვია ქრისტიანთა დღესასწაულები, ამიტომ ფრაქცია პროტესტს აცხადებს და სათათბიროს სტოვებსო. (ხმაურობა მარჯვნივ: ტყუილია, არაფერი მაგისთანა არა ყოფილა). შემდეგი სხდომა ოთხშაბათს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მაისი.

სპარსეთი

ურმია. ოსმალეთი კავალერისტები სპარსეთის ნება დაურთველად გადადიან ერთი ოლქიდან მეორეში. ხოიიდან იუწყებიან, რომ გაფიცვამ მარილის და ბანგის გადასახადის წინააღმდეგ უნაყოფოთ ჩაიარა; გადასახადებს უკვე ჰკრეფენ.

თეირანი. სასამართლო დაწესებულებანი, მეჯლისის და რეგენტის ბრძანების წინააღმდეგ, განაგრძობენ სხდომებს. სასულიერო პირნი და ხალხი ითხოვენ მათს დახურვას. რუკნუდ-დოულეს წასვლა გადაწყვეტილია. ხორასანის გუბერნატორად საგიბ-იხტიარსა ნიშნავენ. მთავრობამ მიანდო შაჰინშაჰის ბანკს 50,000 თოფი ახალი სისტემისა და 10 მილლიონი პატრონა.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. მოვიდა რუზველტი ოჯახობით. მეფის მინდობილობით ყოფილ პრეზიდენტის შესახვედრად სადგურ კინსბოროში გაემგზავრა ლორდი დენოონალი. რუზველტი დილით მიიღო მეფემ და თითქმის ერთი საათის განმავლობაში მალბაროს სასახლეში დარჩა.

ჰაერში ფრენა

პეტერბურგი. ხელმწიფემ ინახულა კოლომიაჟის ჰაეროდრომი. მის უდიდებულესობასთან ერთად მოვიდნენ დიდი მთავრები დიმიტრი პავლეს ძე და სერგეი მიხეილის ძე, პრინცესსა ირენა პრუსიელი, პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი, სასახლის და გარეშე საქმეთა მინისტრები, სასახლის კომენდანტი და სხ. ხელმწიფეს წარუდგნენ ორგანიზაციონური კომიტეტის წევრები და ავიატორები. მისმა უდიდებულესობამ შემოიარა ჰაერში საფრინავ აპარატების სადგური და თვითეულად გამოჰკითხა ავიატორებს საქმის მდგომარეობა. ხელმწიფემ განსაკუთრებით დიდს ხანს ესაუბრა რუსს ავიატორს პოპოვს, გამოჰკითხა მას, თუ სად უსწავლია, სად უფრენია, სად ფიქრობს ფრენას მომავალში, გამოსთქვა რწმენა, რომ ის ყოველთვის საუკეთესოთა რიცხვში იქნება; შემდეგ დაათვალიერა გატეხილი აპარატი და იკითხა თუ როდის შეასწორებენ მას. უსურვა პოპოვს სრული გამარჯვება, ხელმწიფემ დაათვალიერა ედმონდის, შემდეგ ხრისტიანსის, მორანის და ვინცერსის სადგურები. ყველას დათვალიერების შემდეგ მისი უდიდებულესობამ მათი უმაღლესობათა თანხლებით გასწია ლოჟებისაკენ ჰაერში ფრენის საცქერლად. პირველად გაფრინდა ედმონდი, მაგრამ ქარის გამო მაღლა ვერ ავიდა; უფრო კარგად იფრინეს ხრისტიანსმა, მორანმა და ვინცერსმა.— ათს საათზე მის უდიდებულესობა წავიდა ჰაეროდრომიდან.

გროდნა. პოლიცია კვალ-და-კვალ სდევდა ყაჩაღებს, რომლებმაც 28 აპრილს გაძარცვეს პრუჟანსკის მაზრაში მემამულე მარტენსი. ყაჩაღებმა მოჰკლეს ერთი დარაჯი; სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაული კუხლევსკი, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა; მძიმედ დასჭრეს ბოქაული გალკინი და 6 დარაჯი. მოკლულია 4 ყაჩაღი, დაპატიმრებულია 4.

ნოვონიკოლაევსკი. სახალხო განათლების საზოგადოებამ გამართა ხეების დარგვის დღესასწაული. საქალაქო სასწავლებლის მოწაფეების პროცესსიას მიჰქონდა მუსიკით ხეების ნერგები, რომლებიც დარგეს სკოლის გარშემო ერთ დესეტინა ადგილზე.

გროდნა. სოფელ ხაიშანოვიჩში გადაიწვა 26 გლეხის სახლ-კარი. დაიღუპა ერთი ქალი სამი ბავშვით და მრავალი საქონელი.

პეტერბურგი. ენკენისთვეში პეტერბურგში მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის კრება საგუბერნიო ერობათა წარმომადგენლობისა, რომელიც გადასინჯავს წესდებას საურთიერთო საერობო დაზღვევის შესახებ. კრება მსჯელობას იქონიებს აგრეთვე ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებათა შესახებ.

ხოლერა

პეტერბურგი. პოლოცკში 24 აპრილს მოკვდა 1, ვერხნოდნეპროვსკში 29 აპრილს მოკვდა 1, მარიუპოლის მაზრაში 30 აპრილს ავად გახდა 1, კუპიანის მაზრაში 29 აპრილიდან 30-ე ავად გახდა 10, მოკვდა 3.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნიაღვარის შედეგი.** ნიაღვარის შედეგი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, გამოირკვა მხოლოდ რომ ძალიან დაზარალდნენ ქალაქის განაპირა და ჩავარდნილ ადგილების მცხოვრებნი, სადაც სახლები ნიაღვრით სულ ამოივსო. როგორც ვწერდით, ადამიანთაგან ორი სული შეიქმნა ნიაღვარის მსხვერპლად. ამათ გარდა 2 მაისს გარდაიცვალა პოლიციელის ტრიხლებოვის ბავშვი ალექსანდრე, რომელიც სახლში ნიაღვრის შევარდნის გამო გაცივდა.

◆ **დიდუბის სამკითხველო.** აპრილის განმავლობაში დიდუბის წ. კ. გ. საზოგადოების სამკითხველოში მისულა სულ 523 კაცი, მათ შორის 60 პროც. მუშა ხალხი ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოდან გაუტანიათ 120 წიგნი, მათ შორის 45 ქართული, ხოლო დანარჩენი რუსული.

◆ **სეირნობა.** დღეისთვის საარტისტო საზოგადოების ბაღში დანიშნულია დიდი სეირნობა სომეხთა განმანათლებელ საზოგადოების „ლუის“-ის სასარგებლოდ.

◆ **საექიმო საზოგადოების კრება.** შაბათს, 1 მაისს, შესდგა კრება კავკასიის საექიმო საზოგადოებისა, რომელზედაც წაიკითხეს მოხსენებანი ექიმმა ი. თუმანიშვილმა—ფიშრომიომის 93 ოპერაციის შესახებ და ექიმმა ვ. ბოჟოვსკიმ—მალარიის შესახებ.

◆ **ქალაქის სასანიტარო ექიმები.** ქალაქის სასანიტარო ექიმებად დანიშნულ იქმნენ: 1, 2 და 9 საპოლიციო უბნებში — ექიმი-ქალი ფომინა—ოსიპოვისა: მე 3 და 4 უბანში—ქალანთაროვი, 5 და 6 უბანში — ზაბლუდოვსკი, 7 და 8 ნათიშვილი და 10, 11 და 12—მირაქოვი.

◆ **კუდიანი ვარსკვლავი.** როგორც „ჩვენი გაზეთი“ იუწყება, პროფ. ხარიჩკოვი 5—6 მაისს ღამით გამოკვლევებს მოახდენს დედამიწის ქიმიურ შედგენილობაზე, რათა გამოიკვლიოს, მოიპოვება თუ არა მის შედგენილობაში კამეტის კუდი მატერიიდან იმ შემთხვევაში უკეთუ კუდი მართლაც დაეჯახება დედამიწის ატმოსფერას.

◆ **უპასპორტონი.** 2 მაისს მე-5 საპოლიციო უბანში პოლიციამ შეიპყრო 20 უპასპორტო ახალგაზრდა. მათ ვინაობას არკვევენ.

◆ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, 5 მაისს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა მიერ ქ. ჩიქოვანისა, ბ. ჭელიძისა და მგალობლიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“.

◆ **ჯარიმა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ნებადაურთველად ტფილისში იარაღის ტარებისათვის ვლადიმერ საპაძე დაჯარიმებულ იქმნა 15 მან, თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი კვირით დააპატიმრებენ.

◆ **ლექცია.** ხვალ, 6 მაისს, სახალხო სახლში ვაჟთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ნ. ა. პავლოვი წაიკითხავს ლექციას კომეტაზე. ლექცია დაიწყება 12 საათზე.

◆ **ეგზამენები.** უკვე დაიწყო ეგზამენები ქართულ გიმნაზიასა, სასულიერო სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელში. ეგზამენები მაისის დამლევს გათავდება

◆ 3 მაისს ტფილისში შეიპყრეს სპარსეთის ქვეშევრდომი იოსებ გეორგიზოვი და ლეჩხუმის მაზრის, სოფ. ოხურეშის მცხოვრები ქაიხოსრო კრუაშვილი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან ადმინისტრაციულის წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნებულიყვნენ.

◆ 29 აპრილიდან უკვალოდ დაიკარგნენ ტფილისის მცხოვრებნი ანა მათეს ასული რელშიკოვისა და ვერა იაკობის ასული კოჟინისა.

◆ მეთორმეტე საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწედ დაინიშნა სიმონ ჯიჯიაშვილი.

შავი-ქვის მრეწველთა კრება

1 მაისი.

ამ დღეს კრებამ განიხილა მრეწველთა საბჭოს მოხსენება მექანიკური გზების გაკეთების შესახებ ჭიათურის სამრეწველო რაიონში.

მოხსენება, ინჟენერ საპიცკის მიერ შედგენილი, ვრცელი და სრულია, სავსეა ტეხნიკური ცნობებით და ამიტომ ჩვენს წერილში აღვნიშნავთ მოხსენების მხოლოდ უმთავრეს მოსაზრებას.

მექანიკური გზების გაკეთება მადნის გადასატანად მაღაროებიდან რკინის ლიანდაგამდის გამოწვეულია მით, რომ მადანი რკინისგზის დიდი ტარიფისა და სხვა ხარჯების გამო ძვირად ჯდება და ამიტომ იგი საერთა-შორისო ბაზარზედ ქიშპობას ველარ უწევს ინდოეთისა და ბრაზილიის მადანს. მადნის მიტანა მაღაროებიდან პლატფორმამდის $2\text{-}2_{1/2}$ კაპ. ჯდება, როდესაც მადანი ფუთში ღირს 18 კ. ხოლო რკინის გზის ფრახტი შეადგენს 10 კ. რა ზომებს ხმარობს საბჭო ფრახტის დაკლების გამო, ეს ყველამ იცის, ხოლო მადნის მიტანის ფასის გაიაფება რკინის გზის ლიანდაგამდის დამოკიდებულია გზების გაუმჯობესებაზე. ამ მხრით მრეწველთა საბჭომ შესაფერი ზომები მიიღო გზა-ტკეცილების და საზოგადოთ გზების გაყვანით მადნებიდან რკინის გზამდე, მაგრამ საქმის გართულებას და კონკურენციის გაძლიერებასთან ერთად, საბჭო იმ დასკვნამდე მისულა, რომ მადნები უნდა შეუერთოს ლიანდაგს მექანიკური საბელის გზებით, რათა ერთი ორად გაიაფდეს მადნის მიტანა. კერძო მრეწველთ კიდევაც მიუმართავთ ამ საშუალებისთვის. თუ საბჭომ თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მაშინ, რა თქმა უნდა, გაადვილებს მაღაროებიდან პლატფორმამდე მადნის მიტანას და ამას გარდა მექანიკურ გზებს ის მნიშვნელობაც ექნებათ, რომ შესაძლებელი გახდება მთელი წელიწადი არ შეწყვიტონ მუშაობა მექანიკური გზების გაკეთება იმ მოსაზრებითაც მართლდება, რომ არსებული გზები საკმაო არ არის მრეწველთა საჭიროებისათვის, ხოლო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწვევს ერთ დროულ ხარჯს 300,000 მანეთს და გზების ყოველ წლიური რემონტი-კი გამოიწვევს ხარჯს არა ნაკლებ 40—50 ათასი მანეთისა. საჭიროება მექანიკური გზების გაკეთებისა დიდი ხანია რაც აღნიშნეს, როგორც მრეწველთა საბჭომ, ისე სარევიზიო კომისიებმა, ასეთ საქმის განხორციელებას კიდევ ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ მადანი წამოსაღები იყო არა ნაკლებ ათასი მაღაროდან, 45 ვერსის მანძილზე, და საშიშო ხდებოდა, რომ ერთმანეთში არ აერიოს სხვა და სხვა მრეწველთა მადანი.

ასეთი ტეხნიკური სიძნელე გაუთვალისწინებია ინჟენერ საპიცკის და შესდგომია მრეწველთა საბჭოს მონდობილებით ტეხნიკურ პროექტის შედგენას. პროექტი შესდგება ორი ვარიანტისაგან.

პირველი ვარიანტით მაღაროებს აერთებს ელექტრონის რკინის გზა, სიგძით დაახლოვებით 40 ვერსტი საგანგებოთ მოწყობილ ვაგონებით მადანი კანატის გზით რკინის გზის ლიანდაგამდე გადააქვთ. ანგარიშით ამ გზით ყოველ წლიურათ ლიანდაგამდე 3 მილიონი ფუთი მადანის გადატანა შეიძლება.

ინჟენერი საპიცკის ანგარიშით ვიწრო ლიანდაგის ელექტრონის გზის მოწყობა დაჯდება **90.000 მანეთი.** თუ გზამ ყოველ წელს 30 მილიონი ფუთი მადანი გადაიტანა, მაშინ ინჟენერ საპიცკის მოსაზრებით ექსპლო-

უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი

(შემდეგი*)

ოსმალეთისა სოლომონმა ზნეც იცოდა და ხასიათიც, მთელის საუკუნოებით მათი მეზობლობა, ხშირად საერთო ჭირი და ვარამი უფრო სასურველადა ჰხდიდა სოლომონისათვის ოსმალეთის მფარველობას და როცა თვით ოსმალეთი აძლევდა ამის წინადადებას სოლომონიც რაღას დაახანებდა. ხონთქრის კაცები აახლა სოლომონმა და სთხოვა მფარველობა და რუსეთის მხედრობისაგან დაცვა. ამავ დროს ოსმალეთის წინადადებით წაქეზებულმა სოლომონმა გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო, რომელსაც რუსეთი უკვე მფარველობას უწევდა. დადიანისაგან ციციანოვთან გაგზავნილ კაცებს ყველაფერი მიწერ-მოწერა წაართმევინა, ერთი მათგანი მოაკვლევინა მსახურით და გარდა ამისა გავიდა თვით სამეგრელოში, მიუხტა დადიანს, მოაოხრა ოდიში და 400 კაცზედ მეტი ტყვედ წამოიყვანა.

რუსეთის მთავრობამ ჩქარა გაიგო სოლომონისაგან ხონთქართან საქმის დაჭერის ამბავი. განრისხებული მინისტრი ვორონცოვი სრულიად სპობს მოლაპარაკებას იმერეთის შესახებ ვიცე-კანცლერ ლეონიძესთან და უკანვე საქართველოში ისტუმრებს. ციციანოვს კი ასე სწერს, სოლომონი ჩუმი მტერია რუსეთისა და ათასს ოინბაზობას სჩადის, რომ მანდ მყოფი რუსეთის მხედრობა გასწყვიტოსო. მის გასწორება კეთილის რჩევით შეუძლებელია, საჭიროა კარგად აზიურად მისი სამფლობელოს გათქვეფა და სასურველია, რომ სრულიად მოცილებული იყვეს იმერეთის გამგეობისაგან. იმპერატორი კიდევ თავისს მხრივ სწერს ციციანოვს: „სოლომონის საქციელის შემდეგ, დაჭერა ქუთაისისა და იმერეთის სხვა სიმაგრეთა, აუცილებელს საჭიროებას შეადგენსო და ამიტომ მოიცლით თუ არა, გამოარჩიეთ საუკეთესო ჯარები და შეუდექით იმერეთის დაპყრობასო.

„თუ ამ მოწერილობის მიღებამდე, სოლომონმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა და გულწრფელად შეინანია ყოველივე შეცდომანი, მაინც მიუხედავად ამისა დაუყოვნებლივ შეუდექით მის სამფლობელოს დაპყრობას და გამოუცხადეთ, რომ მის ქვეშევრდომთა შორის არსებული უკმაყოფილება დღითი-დღე ძლიერდება და რადგანაც შესაძლებელია მოკლე დროში არეულობა მოხდეს, რასაც რუსეთი იმერეთის საქართველოსადმი მეზობლობის გამო გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას, რადგანაც აუცილებლად ქართლის სიმშვიდეც დაირღვევა და იმერეთის არეულობა მასაც შეტრუსავს. გარდა ამისა ჩვენ სახეში გვაქვსთქო, არა მარტო ქართლის სიმშვიდე, თქვენთვისაც მოსალოდნელი საფრთხის აცილება.

ერთის სიტყვით გადაწყვეტილი იყო იმერეთისათვის ბოლოს მოღება და მით შავის ზღვისაკენ კარის გაღება. ციციანოვსაც ეს უნდოდა, დიდი ხანია ულესავდა სოლომონს იარაღს და სურდა რა მისი ტახტიდან ჩამოგდება და კონსტანტინე ბატონიშვილის გამეფება. ციციანოვს ამისთვის უკვე მზადა ჰყავდა კონსტანტინე, რომლის განთავისუფლებასაც ასე მოუთმენლად მოელოდა. კონსტანტინე როგორც ვიცით თანახმად პირობისა პეტერბურგში უნდა გაეგზავნა ციციანოვს ვიცე-კანცლერ ლეონიძესთან ერთად და შემდეგ კონსტანტინე რუსეთშივე უნდა დარჩენილიყო სამუდამოთ საცხოვრებლად. მაგრამ ციციანოვმა თანახმად თავის განძრახვისა გადასჭრა საქმე, კონსტანტინე ტფილისში დაიტოვა და ის მოიმიზეზა, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ გზები არის გაფუჭებულიო და ამიტომ ბატონიშვილის გაგზავნა შეუძლებელიაო. გარდა ამისა ქვრივი დედოფალი ანნა, დედა ბატონიშვილისა ამ მოკლე ხანში უნდა დაბრუნდეს საქართველოშიო და რაღა საჭიროა მისი გაგზავნა რუსეთშიო. რასაკვირველია, საქართველოს სამხედრო გზაზედ ხიდების გაფუჭება აქ არაფერ შუაში იყო, რადგანაც თუ კი იმავე დროს ციციანოვმა სოლომონ ლეონიძე გაამგზავრა ამავე გზით პეტერბურგში, კონსტანტინეს რაღად გაუჭირდებოდა წასვლა. მაგრამ საქართველოს სამხედრო გზა და დედის ჩქარა დაბრუნება მხოლოდ ფარდა იყო ციციანოვის განზრახვებისათვის. ციციანოვს უნდოდა კონსტანტინეს სიახლოვით ჯერ ეგ ერთი შიშში და მორჩილებაში ჰყოლოდა სოლომონი და ამასთანავე, თუ მარჯვე შემთხვევა მიეცემოდა, ხელდახელ ტახტიდან ჩამოაგდებდა თავისს ურჩს სოლომონს და კონსტანტინეს გაამეფებდა. ეს იყო მიზეზი, რომ მიუხედავათ სოლომონთან დადებულის პირობისა ციციანოვმა კონსტანტინე ტფილისში დასტოვა და მის ბიძას თამაზ ორბელიანს, რომელიც რუსეთის ყურმოჭრილი მონა იყო, ჩააბარა და მარჯვე შემთხვევას და დროს უცდიდა. და აი ეხლა, როცა იმპერატორი და მინისტრი უკიჟინებდნენ გინდა თუ არა ჩქარა მოუღე ბოლო იმერეთსაო, ციციანოვმა ფიცხლავ კონსტანტინეს კანდიდატურა წამოაყენა. „იმერეთის დასაპყრობლად გაგზავნილს ჯარებსაო, სწერდა ციციანოვი რუსეთის უმაღლეს მთავრობას, თან გავატან კანონიერს მემკვიდრეს კონსტანტინეს და სოლომონის მაგიერ გავამეფებო.*)“ მაგრამ ციციანოვს არ დაეთანხმა არც იმპერატორი და არც ვორონცოვი. თუმცა წინათ რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა კონსტანტინეს გამეფება სოლომონის მაგიერ და ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ რუსეთი ისე მედგრადა თხოულობდა კონსტანტინეს განთავისუფლებას. ეჭვი არ არის, რუსეთის მთავრობა ეხლა სულ სხვა გზას დაადგა და ამიტომ შეუძლებლადა სცნობს რა ციციანოვის წინადადების განხორციელებას, ატყობინებენ, რომ კონსტანტინე ბატონიშვილს არამც თუ რამე იმედი უნდა ჰქონდეს გამეფებისა, არამედ სრულიად საქართველოს მოშორებით უნდა იცხოვროსო, თანახმად სოლომონთან მიცემული პირობისაო. ჩვენ თითონ წმინდად უნდა აღვასრულოთ სოლომონთან დადებული პირობა და მით სოლომონიც შევაჩვიოთ პირობების წმინდათვე ასრულებას. მაგრამ როგორც შემდეგ დავინახავთ საქმე იმაში კი არ იყო, რომ სოლომონი პირობის მტკიცედ ასრულებისთვის შეეჩვიათ, არამედ მთავრობას განძრახული ჰქონდა იმერეთშიაც სრულიად მოსპობა მეფობისა, როგორც ქართლ-კახეთში: ამის გამო ციციანოვის მოსაზრებებს უკანა სდებენ და კონსტანტინეს დედით რუსეთში გაიწვევენ მოსკოვში საცხოვრებლად.

იმერეთი რუსეთისათვის ეხლა დიდათ საჭირო და აუცილებელი იყო. როგორც ვიცით, სამეგრელო რუსეთმა უკვე შემოიერთა, მაგრამ გზა კი არა ჰქონდა, რომ საიდგანმე მისდგომოდა ახლად შეძენილ ქვეყანას. იმერეთი ეჩხირებოდა გზაზედ და აუცილებელ საჭიროებად ჰხდიდა რამენაირად ძალით თუ ნებაყოფლობით მის დამორჩილებას სამეგრელოსთან დამოკიდებულობის უზრუნველ საყოფლად. ამიტომ იმპერატორი პირდაპირა სწერდა ციციანოვს, როცა იმერეთს დაიმორჩილებ და სამეგრელოში იმერეთზედ მიმავალ გზას უზრუნველ ჰყოფ, მხოლოდ მაშინ შეგიძლიან საკმარისი მხედრობა გაჰგზავნო ოდიშშიო.

დიახ, სამეგრელოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იმერეთის დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ციციანოვს მიუხედავად იმპერატორისა და მინისტრის ბრძანებისა იმ ჟამად არ შეეძლო სოლომონზედ გალაშქრება. იგი ამ დროს გამზადებული იყო განჯის ასაღებად და ამიტომ იმერეთის დაპყრობა მოკლე დროთი გადიდო.

1804 წელს, სამს იანვარს დაეცა განჯა. მის დაცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პირველი იერიში იყო რუსეთის საქართველოს მეზობელ ერებზედ მიტანილი. ბევრს ეგონა, რომ ციციანოვს საქართველოს გარედ მოქმედების უფლება არა აქვსო და ვერც გაჰბედავს, რადგანაც სპარსეთი და ოსმალეთი მედგრად გადაეღობებიან წინაო, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ. ციციანოვი ყველაფრისთვის საბუთსა შოულობდა განჯაო, ამბობს ის, ყოველთვის საქართველოს საკუთრებას შეადგენდაო, მას ყმობდა და მისთვის იხდიდაო ხარჯსაო და რადგანაც ეხლა საქართველო რუსეთს შეუერთდაო, ამიტომ განჯაც რუსეთისა უნდა იყოსო. ასე მსჯელობდა ციციანოვი და სისრულეშიაც მოჰყავდა თავისი განძრახვანი.

განჯის აღების შემდეგ ჭირის ოფლმა დაასხა საქართველოს მეზობელ ერებს და მით უმეტეს სოლომონს, რომელიც დიდი ხანია თვალში ჰყავდა ამოღებული ციციანოვს და რომლის დღენიც ყველა გრძნობდა, რომ დათვლილი იყო. სპარსეთისა და ოსმალეთის შველის მოლოდინი ჯერ-ჯერობით არ გამართლდა, რუსეთში გაგზავნილი მისი დესპანი ლეონიძე, გაბრაზებულმა სოლომონის საქციელით რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ ფიცხლავ უკანვე გამოისტუმრა. მწყრალმა უმაღლესმა მთავრობამ აღარ ინდომა სოლომონთან მოლაპარაკების გაგძელება და ყველაფერი ციციანოვს მიანდო. უნუგეშო იყო სოლომონის მდგომარეობა, აშკარად გრძნობდა, რომ ციციანოვი ეხლა იმაზედ მოიცლიდა და განჯის დღე იმასაც დაადგებოდა.

ციციანოვიც არა ნაკლებ გრძნობდა სოლომონის გამოუსვლელ მდგომარეობას და განძრახვა ჰქონდა სრულიად უომრად ჩაეგდო იმერეთი ხელში. იმპერატორისაგან ნაბძანებიაო, სწერს ციციანოვი სოლომონს, რომ თუ დანაშაულს არ შეინანიებ და მორჩილებას არ გამოაცხადებ, ქვა-ქვაზედაც აღარ დავტოვო იმერეთშიაო. ჩრდილოეთიდგან წამოსულს ქარიშხალის აცილება მხოლოდ სრულის მორჩილების გამოცხადებით შეიძლება და მაშინ ბრწყინვალე მზე ამონათებს იმერეთის სამეფოზედ, უხვად მოჰფენს ნათელს ყოველივე მის მკვი-

---

*) იხ. „დროება“, N 96.

*) Дубровинъ, Закавказье 1803—1806. გვ. 196.

ატაციის წლიური ხარჯი არ აღემატება 2 კაპეიკს ფუთზე.

კანატის გზის გაკეთება განზრახულია 14 ადგილას. ამ გზამ ყოველ წლივ რკინის გზის სადგურებამდე უნდა გადაიტანოს 84 მილიონი ფუთი მადანი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ გვარი გზები თანასწორათ ვერ იმუშავებენ და სიფრთხილის გულისათვის მეტი მოქმედების ძალა ეძლევათ.

გზები პროექტით დაჯდება 280,000 მ., მადნის განაწილება პლატფორმებზე 220.000 მ., და მთელი გზის მოწყობა 1.450 000 მან., ხოლო თითო ფუთი მადანის მოტანა მაღაროდგან რკინის გზის ლიანდაგამდე—0.875 კაპეიკი. ამას რომ მიემატოს გზებისათვის საჭირო ადგილების შეძენის ფასი, მადნის გადატანა დაჯდება დაახლოვებით 1 კაპ., რაც შედარებით ეხლანდელ ხარჯთან 300—450.000 მანეთის ეკონომიას გამოიწვევს.

მიუხედავად ამისა, დიდი ხარჯი, რომელიც უნდა გასწიოს მრეწველთა კრებამ ამ გზების გასაკეთებლად და ის გარამოებაც, რომ შესაძლებელია გადასატანი მადნის რაოდენობა 30.000 მილ. ფუთამდე არ ავიდეს, რაც მადნის გადატანას გააძვირებს, იმ დასკვნამდე მიჰყავს ინჟინერი საპიცკი, რომ ზემოთ აღნიშნულ გზასთან შედარებით, მრეწველთათვის უმჯობესია კანატის გზები გაკეთდეს და აი რა მოსაზრებით:

1. ასეთი გზის გაკეთება ისე როგორც ექსპლოატაცია, შედარებით იაფად დაჯდება.

2. გზის გასაყვანათ ადგილის შეძენა გაადვილდება, რადგან იგი ჰაერში იქნება.

3. ასეთი ტიპის გზა განირჩევა იმ გზიდან, რომლის კონცესია უკვე მიღებული აქვს თ-დ გიორგი წერეთელს და ნებართვის აღების მხრით დაბრკოლება არ აღმოჩნდება. და

4. ღირებულება ამ გზისა 615,000 მანეთი, თითქმის ორჯელ ნაკლებია.

ასეთს პირობებში, რასაკვირველია, მადნის გადატანის ფასიც შემცირდება და ინჟინერი საპიცკის ანგარიშით იგი გამოიხატება ფუთზე 0.525 კაპეიკით.

პროექტის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას თავისი აზრი გამოეთქვა პროექტის შესახებ.

ალ. გამრეკელი. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ თ-დ გიორგი წერეთელს უკვე აღებული აქვს გზის კონცესია. ჩვენთან შედარებით ეს უფლება მას დიდ უპირატესობას აძლევს და ამიტომ ყველაფერი წინ და წინვე უნდა მოვისაზროთ. რაც შეეხება თვით აზრს გზების გაყვანის შესახებ, იგი მით უფრო მოსაწონია, რომ ყველა ისარგებლებს.

პერსენაკი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა დამოკიდებულება უნდა დავიჭიროთ თ-დ გიორგი წერეთელთან. რადგან ჩვენ მისი კონცესიის შესახებ არა ვიცით-რა, კარგი იქნება შევეკითხოთ ჩვენს წარმომადგენელს პეტერბურგში, რომელიც, ეჭვი არ არის, დაუყოვნებლივ შეგვატყობინებს ცნობებს თ-დი წერეთლის კონცესიის შესახებ.

გ. ზდანოვიჩი. აქამდის ჩვენ სულ სხვა ცნობები გვქონდა იმის შესახებ თუ რა აზრისაა ბ-ნი გამრეკელი ჩვენგან განზრახულ გზების შესახებ. ამ ცნობებით მან სენატორ ვატაცის უთხრა, რომ ჩვენგან განზრახული გზები ვნების მეტს არაფერს მოიტანს და რადგან ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ბ-ნი გამრეკელი გააცნო სენატორ ვატაცის, როგორც შავი ქვის მრეწველობის საუკეთესო მცოდნე კაცი. ეჭვი არ არის, მის აზრს ყურადღებით მოისმენდენ.

თავმჯდომარე. თქვენ პირად ნიადაგზე გადაგაქვთ ბაასი.

გ. ზდანოვიჩი. პირად ნიადაგს აქ ადგილი არა აქვს. რაც შეეხება თ-დ გიორგი წერეთლის კონცესიას, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მით ჩვენ გვაშინებენ აგერ ათი წელიწადია. ბ-ნ გამრეკელს რომ დავუჯეროთ, თ-დი წერეთელს ატილას მსგავსი ძალა აქვს და შეუძლია ყოველისფერი გაანადგუროს. ჩვენ ვიცით, რომ მან ახალი კონცესიის უფლება მიიღო, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს კონცესია არ ვიცით; საეჭვოა მხოლოთ ის, რომ მან განახორციელოს ახლად მიღებული უფლება, როგორც ეს მოხდა წინად. არა მგონია თ-დ წერეთელს კონცესია ნებას აძლევდეს, რომ მის მეტს არავის შეეძლოს მადნის გადატანა პლატფორმებამდე. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ გზებს ერთად ვერ გავაკეთებთ—საქმეს თანდათანობით უნდა შევუდგეთ და თუ ერთი გზა მაინც გავაკეთეთ, დიდათ ვეჭვობ თ-მა წერეთელმა კაპიტალისტი იშოვნოს თავის კონცესიის განსახორციელებლად...

პერსენაკი. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თითო ფუთის გადატანა მაღაროდან ლიანდაგამდის პროექტის პირველი ვარიანტით ღირს 1 კ. და მეორეთი—0.5 იმ დროს, როცა იმ ფირმებს, რომელთაც კანატის გზა აქვთ, ფუთის გადატანა უჯდებათ 1/8 კაპეიკი.

ალ. გამრეკელი. მადლობას ვუძღვნი გიორგი ფილიქსის ძეს, რომ საშუალება მომცა გამომერკვია ის საკითხი, რომელსაც იგი შეეხო. სენატორი ვატაცის შეკითხვაზე, მე ვუთხარი, რომ თუ გზები გაკეთდა ან ცალკე მრეწველისათვის ან მრეწველთა რომელიმე ჯგუფისათვის, ასეთი გზები ვნების მეტს არაფერს მოიტანს მეთქი. მე აღვნიშნე ის გარემოებაც, რომ თ-დი წერეთლის კონცესიას, თუ იგი განხორციელდა, დიდი უპირატესობა აქვს საბჭოს მიერ განზრახულ გზებთან, რადგან თ-დ წერეთლის გზა მადანს პირდაპირ შორაპანში წაიღებს იმ დროს, როცა ჩვენ მადანი პლატფორმებზე უნდა მივიტანოთ და იქ ვაგონებში დავტვირთოთ; გზების გაკეთება ჩვენის ხარჯით არ შეიძლება; ფულის შოვნა ძნელი საქმე არ არის, მაგრამ გზები ერთად უნდა გაკეთდეს, რომ გზების თან და თან გაკეთებით ერთს ჯგუფს მრეწველებისას უპირატესობა არ მიეცეს სხვებთან.

ბელიაშვილი. გზები პირველად იქ უნდა გაკეთდეს, საცა გზები ნაკლებია.

გ. ზდანოვიჩი. სიფრთხილე კარგი საქმეა, მაგრამ როცა იგი ზომას გადადის, საქმის შემაფერხებელია. ბ. გამრეკელს ჩაუგონებია სენატორ ვატაცისათვის...

თავმჯდომარე. ნებას ვერ მოგცემთ საქმე პირად ნიადაგზე გადაიტანოთ.

გ. ზდანოვიჩი. მაშინ იძულებული ვარ ვთქვა, რომ ბ. გამრეკელი გზების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ სენატორ ვატაცისთან გზების გაკეთების წინააღმდეგ ილაპარაკა. რაც შეეხება პროექტის ფინანსიურ მხარეს, ჩვენ მის განხილვას ვერ ავცდებით, მაგრამ უმჯობესია ჯერ ტეხნიკურის მხრით განვიხილოთ პროექტი და მერე სხვა მხრით.

ივ. ნიჟარაძე. პროექტის პირველი ვარიანტი ძნელი განსახორციელებელია და ამიტომ ჩვენ მეორეზე უნდა ვილაპარაკოთ.

ილ. კაკაბაძე. ზოგიერთი ორატორი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო თ-დი გ. წერეთლის აგენტები იყვნენ...

ალ. გამრეკელი პროტესტს აცხადებს.

ილ. კაკაბაძე. მე არავინ დამისახელებია და მიკვირს, რათ მიიღო თავის თავზე ჩემი სიტყვები გამრეკელმა.

თავმჯდომარე მიმართავს ბ-ნ ზდანოვიჩს. ახსენით, თუ შეიძლება, რათ მიეცით უპირატესობა მეჩხერის საბელის გზას, რომლის გასაკეთებლათ 18.000 მანეთია გადადებული?

გ. ზდანოვიჩი. ზოგიერთნი მაგ გზის კეთებაში პოულობენ საშუალებას, რომ ჩვენ განზრახვას გზების კეთებაში ხელი შეუშალონ...

თავმჯდომარე აჩერებს ორატორს ამ სიტყვებით: „ეგ საქმეს არ ეხება“.

გ. ზდანოვიჩი. ამ პირობაში ლაპარაკი შეუძლებელია და იმას ვარჩევ, რომ გავჩუმდე.

თავმჯდომარე თავმჯდომარე მიმართავს ინჟენერ საპიცკის: „იქნება თქვენ ახსნათ, რათ აძლევთ უპირატესობას მეჩხერის გზას?

ინჟენერი საპიცკი. მეჩხერის გზას უპირატესობა იმიტომ მიეცა, რომ იმ რაიონის მადანი საუკეთესო თვისებისაა და ესეც რომ არ ყოფილიყო, ჩვენ იმან გვაიძულა ამ გზის კეთებას შევდგომოდით, რომ ცნობები მოგვივიდა, ერთი უცხოელი ფირმა აპირებს გზის გაკეთებას და ამ შემთხვევაში ჩვენ დაგვეკარგებოდა ეს უფლება. გარდა ამისა იგივე ფირმა ამ გზის გაკეთების მოლოდინში ადგილების შესყიდვას აპირობდა რაც შეეხება ბ-ნი პერსანაკის აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენგან განზრახულ გზით მადნის მიტანა პლატფორმებამდის უფრო ძვირათ დაგვიჯდება ვიდრე კერძო ფირმებს, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენგან გამოანგარიშებული ფასები საშუალოა; ნამდვილათ კი მადნის გადატანა უახლოვესი ადგილებიდგან იაფად დაჯდება და უშორესიდგან შედარებით მ ტი,

პერსენაკი მიმართავს ბ-ნ ზდანოვიჩს, თუ შეიძლება გამაგებინეთ, რა თხოვნით მიმართა შავი ქვის მრეწველთა საბჭომ მთავრობას გზების შესახებ.

თავმჯდომარე ჩინგერი უხსნის ბ-ნ პერსენაკს, რომ თხოვნა ეხება გასაყვან გზების ნებართვის აღებას.

გ. ზდანოვიჩი. ბ-მა თავმჯდომარემ აგვიხსნა შუამდგომლობის შინაარსი, ხოლო მოტივი ამ თხოვნისა ის არის, რომ თუ მთავრობა და ადმინისტრაცია მრეწველთა კრებას არ დაეხმარა, ადგილობრივი მცხოვრებნი ორი სამი უცხოელი ფირმის მონათ გახდება. ჩვენ მოვალენი ვიყავით აღგვენიშნა ეს გარემოება, რადგან ამის ნიშნებს ჩვენ აშკარად ვხედავთ და შესაფერ ზომებსაც ვღებულობთ.

პერსენაკი. მაინც არა ცხრება და კითხულობს—შუამდგომლობაში განსაზღვრული ფირმებია მოხსენებული თუ საზოგადო აზრია გამოთქმული. ამ მხრით ბ-ნმა პერსენაკმა დამამშვიდებელ პასუხი მიიღო.

თავმჯდომარე აყენებს საკითხს—რომელ ვარიანტს ემხრობა კრება. აშკარად სჩანს, რომ მეორე ვარიანტს უმრავლესობის გული მოუდირებია, მაგრამ პერსანაკის თხოვნით საკითხის გადაწყვეტა გადაიდო 3 მაისისათვის.

პატარა ფელეტონი

ვალსი „დაუბრუნებელი ჟამი“

ვეებერთელა ზალა უხვად, უდიერად განათებულია. ღიმი კრთის. მუსიკა გხიბლავთ. ვნებათა ღელვის ჩუმი, უჩინარი სიო ჰბერავს. თქვენც გსურსთ ალვის ხესავით დაირხეთ ცეკვაში. თქვენც გსურსთ, ვით ზღვა ტორტმანობს, გასრიალდე. მაგრამ მომეცით ხელი... აი, აქ დასხედით, თუნდ ერთ წუთით...

მიხარია, რომ ერთხელ მაინც მოხვედით ჩემთან.

გახსოვთ პატარა ნორჩი ვიყავით; თქვენ „სარაფანი“ გეცვათ, მე კი „მატროსკა“. ყოველ ნაბიჯზე მუხლსა ვხრიდი, თქვენ კი ღიმილით მაჯილდოვებდით. ცეკვას არც ერთი არ ვათავებდით. მერე ვიღამაც ხელთ აგიყვანათ და დაგვაიწყდით... მხოლოდ დროებით. როდესაც სახლში მიხვედით თურმე, ღრიალი—უკაცრავად ვარ—მორთეთ: „ის სად არისო“?.. გახსოვთ?..

რა გნებავთ?.. ბრძანეთ!

ორნივ ვიყავით სასწავლებელში. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ბალში. გიჟურ „გალოპსა“ შეუთანხმეთ გიჟური სწრაფვა ერთმანეთისადმი. თქვენ პანსიონში წაგიყვანეს კვლავ და მე პანსიონს ვუვლიდი ირგვლივ... გახსოვთ ეს მაინც?

თუნდაც მახსოვდეს, საუბარი მაინც არ მესმის.

გახსოვთ სოფელში ჩამოუარეთ ზურნის ხმაზე ძველი ლეკური... ვით მწყერი ქორსა დაგტრიალებდი, მაგრამ გაჰყევით თქვენს საქმროსა. კარგი ქმარია? სად გამონახეთ?..

ტკბილ-შხამიან მოგონებაში ნუ ჩაურევთ უზრდელობას.

დრომ თავისი ჰქმნა: გიჟურ გალოპსა, ბავშვურ „კაზაკას“, მიჯნურობის გამომთქმელ ლეკურს, ვარჩიეთ დინჯი კადრილი; აქაც დახედეთ უკუღმართობას. ვით მშვენიერსა დიასახლისსა ყველა თქვენ მოწვევსთ... და დავრჩით მარტო ერთხელ მხოლოდ... ბალი თავდება და დავიშლებით. ნუ დამიხუჭავ თვალებს—არა, არა გთხოვ —ნუ შეირცხვენ თავს, მუდამ საქებო. გთხოვ იყავ, ჩემო-სულის მიმღებო, არ გაატანო მესამარეთ—და, როცა ზარით მიმიღებს მიწა, ჩამოუარე მაშინ შენ ვალსი. [illegible] ჩემი სული იქნება შენთან [illegible] და [illegible] მარი... რა დაგემართათ, თავს ვერ იკავებთ?.. წყალი, წყალი!

ნუ სწუხდებით, არაფერი მიჭირს! ბიჭო, ფანჯარა გააღე! ძლიერ ცხელა.

ვუბრძანებ დაუკრან ვალსი „Невозвратное время“. ნება მიბოძეთ. გთხოვთ.

დამეხსენით! **ნ. ლორთქიფანიძე.**

მოწერილი ამბები

ქიზიყი. ბუნებას სოფლები ანაგა და ვაქირი (ქიზიყი) შეუერთებია, შეუტყუპებია, ადამიანებს-კი მართვა-გამგეობის მხრივ ისინი გაუცალცალკევებიათ. ამ ორ სოფელში ითვლება 1800 კომლი 7314 სულ მცხოვრებით და უჭირავს სამოსახლო ადგილი სივრცით 234,6 დესეტინა. ამნაირად თავის სიდიდით ეს ორი სოფელი აღემატება ბევრ სამაზრო დაბა-ქალაქს, მაგ. როგორიცაა, ახალქალაქი, დუშეთი, ჯიბრაილი, ყაგიზმანი, ზუგდიდი, ქუთაისი და სხვა, მაგრამ აქაურებს დღემდე არავინ არ გამოსჩენია ისეთი წინამძღვარი, რომ ადმინისტრაციულადაც გაერთიანებინა და მარტივი თვითმართველობაც შეექმნა (თუნდაც ჰირადის). თვითმართველობა ხელს შეუწყობდა მცხოვრებთა დაწინაურებას, მის კულტურულს — ზრდა განვითარებას, დღეს-კი ამ ორ უზარმაზარ სოფელს ორი მამასახლისი განაგებს.

აქ არის სამი დაბალი, პირველ დაწყებითი სასწავლებელი ქალ-ვაჟთათვის, სადაც 219 მოსწავლეა; მაგრამ უადგილობისა გამო ერთი ამდენივე მუდამ წლიწადს რჩება სკოლის გარეშე უსწავლელად. 1907 წლის ტფილისის გუბერნატორს სთხოვეს დაერსებინა მათთვის სახელმწიფო ხარჯით რომელიმე ტიპის სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ დღემდე თხოვნა თხოვნათვე დარჩენილი, რადგან საქმის დამაბოლოვებელი არავინ გამოუჩნდა სოფლებს.

დრს და თვით მეფე სოლომონიც სიკვდილამდის მეფედ დარჩება და დიდს პატივში იქნებაო.

სოლომონი დაფრთხა, დიდს ხანს აღარ დააყოვნა და მოსალაპარაკებლად ახლა ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე. სამღვდელოებამ და თავად-აზნაურობამ კიდევ მრავალ პირთაგან ხელმოწერილი წერილი მიართვა, რომელშიაც გამოსთქვამდნენ სურვილს რუსეთთან შეერთებისას.

დესპანებისაგან ციციანოვთან გამართული მოლაპარაკების მთავარი ძარღვი ორი საკითხის ირგვლივ ტრიალებდა, სოლომონი თხოულობდა, რომ მეფედ დარჩენილიყო და მეფობა საუკუნოდ არ მოსპობილიყო იმერეთში და გარდა ამისა ლეჩხუმი იმერეთის სამფლობელოდა ყოფილიყო აღიარებული. პირველ საკითხზე ციციანოვი დასთანხმდა, მაგრამ ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია ლეჩხუმის საკითხმა. საქმე იმაში იყო, რომ ლეჩხუმი რუსეთის მთავრობას უკვე რუსეთთან შემოერთებულ სამეგრელოს მთავარის საკუთრებად აღიარებინა. დესპანები დაჟინებით თხოულობდნენ ლეჩხუმის დაბრუნებას და უტყუარის საბუთებით უმტკიცებდნენ, რომ ლეჩხუმი ყოველთვის იმერეთის საკუთრებას შეადგენდაო და მხოლოდ ძალმომრეობით მიისაკუთრა დადიანმაო. ციციანოვი და დესპანები ვერასგზით ვერ შეთანხმდნენ ლეჩხუმის შესახებ და ამაზე შესწყდა მოლაპარაკება. ციციანოვმა უკანვე გამოაბრუნა დესპანები და თან გაატანა კამერგერი ვორონცოვი და დირექტორი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა დეკანოზი პეტრიაშვილი, თვით მეფე სოლომონთან პირისპირ მოსალაპარაკებლათ. გაგზავნილთ დაწვრილებული გეგმა მისცა, რომლიდანაც ერთი სიტყვის გამოტოვების ნებაც არა ჰქონდათ და დაბარა უსათუოდ ორს კვირაზე უგვიანეს არ დაბრუნებულიყვნენ.

დიდის ხნის ცდის შემდეგ, 20 მარტს ძლივ-ძლივობით ეღირსა ვორონცოვი მეფესთან აუდენციას. სოლომონმა გამოუცხადა, რომ ციციანოვისაგან წარმოდგენილს პირობებს ხელს ვერ მოვაწერო, ჯერ მხოლოდ ფიცს მივიღებო და პირობებზე მოლაპარაკება და ხელის მოწერა შემდეგისთვის გადავდოთო. ვორონცოვმა განაცხადა, რომ ერთი უმეოროდ შეუძლებელიაო და რა დარწმუნდა, რომ სოლომონთან ლაპარაკით არაფერი გამოვიდოდა უკანვე გამობრუნდა.

ასეთი ფიცხელი უარი სოლომონისა იმითი აიხსნება, რომ რაკი ციციანოვმა ლეჩხუმის დაბრუნებაზე სრული უარი შეუთვალა, სოლომონი შეეცადა თითონაც გამაგრებულიყო და წინააღმდეგობა გაეწია ციციანოვისათვის, თუ ის მაინცა და მაინც არ დასთანხმდებოდა ლეჩხუმის დაბრუნებას. ს. ჩხარში მოხდა კრება იმერეთის ბრწყინვალე წოდებისა, რომელზედაც შეჰფიცეს მეფეს, რომ თუ იგი არსად არ წავიდოდა და არ გასცემდა არავის, მასთან ერთად ყველანი თავს გასწირავდნენ და გაწყდებოდნენ. მეფემაც შეჰფიცა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იმათთან იქნებოდა და არასდროს იმერეთს თავს არ დაანებებდა და მტერთ არ ჩაუგდებდა ხელში. ასეთის გადაწყვეტილების შემდეგ ჯარების შეკრებისა და ციხეების გამაგრების თადარიგს შეუდგნენ.

ციციანოვმა გადასწყვიტა პირისპირ მოლაპარაკებოდა სოლომონს და თუ ამ ლაპარაკიდანაც არაფერი გამოვიდოდა, მაშინ ჯოხებით შეესეოდა იმერეთს. სოლომონ ლეონიძე დესპანად ყოფილა პეტერბურგში და ეხლა ტფილისში გამომწყვდეული გაუგზავნა ციციანოვმა სოლომონს და შეუთვალა: „არა მგონია არ უწყოდეთ რაოდენათ მწარეა ხვედრი იმ პირთა, რომელნიც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამართლიანს მრისხანებას დაიმსახურებენ ხოლმე, ამიტომ რადგანაც ყოველივე წვრილმანის გადმოცემა ქაღალდით შეუძლებელია, ვკადნიერდები და წინადადებას გაძლევთ კეთილ ინებოთ და მობრძანდეთ იმერეთის საზღვარზედ რჩეულის თავად-აზნაურობით, პირის-პირ მოსალაპარაკებლად.“

იმერეთის თავად-აზნაურობას კიდევ ამგვარ მრისხანე წერილსა სწერდა: „ვუწყი, რომ იმერეთის ბრწყინვალე თავად-აზნაურობას დიდი გავლენა და ძალა აქვს მეფის რჩევა თათბირში. ვურჩევ თავის საწინააღმდეგო მოქმედებით რუსეთისადმი, არ დაიმსახურონ სამშობლოდგან განდევნა-გაძევება“.

პირისპირ ნახვა შესდგა. ციციანოვი ერთის ზარბაზნითა და ჯარებით მივიდა იმერეთის საზღვარზედ სოფ. ვახანში, სოლომონი კიდევ ჩამომხტარიყო ჩხერის ციხეში. 19 აპრილს ელიზნაურის მინდორზედ შეჰხვდნენ ერთმანეთს სოლომონი და ციციანოვი თავ-თავის ამალით მაგრამ ვერც ციციანოვის ნახვამ და პირადად მოლაპარაკებამ შეაცვლევინა აზრი სოლომონს, ის გადაწყვეტილი თხოულობდა ლეჩხუმის დაბრუნებას, რაზედაც ციციანოვი არას გზით არა თანხმდებოდა. გამომშვიდობებისას ციციანოვმა გამოუცხადა სოლომონს, მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ იძულებული ვხდები ამის შემდეგ ბრძოლის ველზედ შევხვდეთ ერთმანეთს ხმლებით ხელშიო.

მეორე დღესვე ციციანოვი იმერეთის დაპყრობას შეუდგა. პოლკოვნიკმა ერისთავმა დაიჭირა სოფ. სვირობა და იქ მცხოვრებ თავად-აზნაურობას და გლეხკაცობას ფიცი მიაღებინა რუსეთის ქვეშევრდომობაზედ, გენერალი ტუჩკოვი კიდევ კორტოხის გზით შესია იმერეთს, დაიჭირა ორი სოფელი—კოლბეური და ბრეში და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზედ.

რუსებისაგან სოფლების დაჭერამ ხელახლივ დააფაცურა სოლომონი და მოსალაპარაკებლად გამოუგზავნა ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლები და სეხნია წულუკიძე. ამ ხანათ ციციანოვი და სოლომონისაგან გაგზავნილნი შეთანხმდნენ ლეჩხუმის შესახებ შემდეგ ნაირად: ორთავე მხარემ პირობა დასდეს იმპერატორისათვის მიენდოთ ლეჩხუმის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, მისთვის წარედგინათ საჭირო საბუთები და ვიდრე პასუხს მიიღებდნენ, სოლომონის ხელში დარჩენილიყვნენ ყველა ის ციხე-სიმაგრენი და სოფლები, რომელნიც დღემდის ეჭირა.

მეფე სოლომონიც თანახმა გახდა დესპანებისაგან მიცემულს პირობებზედ და 25 აპრილს 1804 წელს ხელი მოაწერა რუსეთის პირობებზედ, რომელიც იმპერატორისათვის უნდა გაეგზავნათ დასამტკიცებლად და ფიცი მიიღო რუსეთის ერთგულებაზედ.

აი, სოლომონისა და რუსეთის შორის შეკრული ტრაქტატის პირობანიც: 1. სოლომონი მთელის თავისის სამეფოთი და ქვეშევრდომებით რუსეთის მფარველობის ქვეშ შედის; 2. მეფობა არ უნდა მოსპობილიყო იმერეთში და თუ ვინიცობაა სოლომონი უძეოთ გარდაიცვლებოდა, მაშინ მემკვიდრეთ უნდა აღიარებულიყო ბატონიშვილი კონსტანტინე 3. მართლ-მსჯულობა რჩებოდა იმერთა მეფის ხელში; 4. რუსეთის ჯარებს ბინა ექნებოდათ იმერეთში სამეფოში სიმშვიდის დასამყარებლად, და გარეშე მტერთაგან დასაცველად 5. თუ ვინიცობაა ქალაქები გაშენდებოდა იმერეთში და მათგან რამე შემოსავალი ექნებოდა რუსეთს ნაწილი მეფისათვის უნდა მიეცათ; 6. იმერთა მეფე მოვალეა ყოველფერში ემორჩილებოდეს რუსეთის მთავრობის განკარგულებას; 7. მოვალეა, რუსეთის ჯარებისათვის ააშენოს საზღვრები და მისცეს გათბობა–განათება; 8. აძლიოს ჯარებს საჭმელ-სასმელი; 9. აძლიოს რუსეთის მთავრობას მადნების დასამუშავებლად საჭირო მუშები მთავრობისაგან გადაწყვეტილის ფასებში, თუ ვინიცობაა მადნეულობა რამე აღმოჩნდა იმერეთის საზღვრებში; 10. დაუთმოს საჭირო ხე-ტყე ხომალდების ასაშენებლად გამოსადეგი; 11. დადიანის სამფლობელოს თავი დაანებოს და ტყვეთ წამოყვანილი ხალხი გაანთავისუფლოს; 12. უზრუნველჰყოს მოგზაურობა ქუთაის-ოდიშ-ფოთამდის; 13. რუსეთიდგან ზღვით შემოტანილს საქონელზედ ბაჟი არ აიღოს, სამაგიეროდ საბაჟოს შემოსავლიდგან მიეცეს ნაწილი მეფეს; 14 აეკრძალოთ იმერლებს ქართლში გადმოსვლა საცხოვრებლად და ქართლელებს კიდევ იმერეთში.

ციციანოვი კიდევ, სხვათა შორის, შემდეგს პირობებსაც აძლევდა, თუ ბატონიშვილი კონსტანტინეს მემკვიდრეობა ასცდა, მაშინ მისი კუთვნილი მამულები თქვენ საკუთრებად ჩაითვლება და გარდა ამისა ყველა ის ციხე-სიმაგრენი და სოფლები, რომელნიც დღემდის გეჭირათ ლეჩხუმში, თქვენს მფლობელობაში დარჩება, ვიდრე უტყუარს საბუთებს არ წარადგენს მისი იმპერატორობით უდიდებულესობის სახელობაზედ. ეს პირობანი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო სოლომონს და ციციანოვს შორის, რადგან მის გამომჟღავნებით განაწყენდებოდა სამეგრელოს მთავარი გრიგოლი და ბატონიშვილი კონსტანტინე.

ამ პირობების მიცემით სოლომონი დამშვიდდა, დაითხოვა ყველა იქ დამსწრენი და როცა ცალკე დარჩნენ ის და ციციანოვი, სოლომონი შეეხვეწა შეეფიცა ჯვარზე და სახარებაზედ, რომ აღნიშნულს პირობებს პირნათლად შეასრულებდა რუსეთის მთავრობა და სიკვდილამდის მეფედ დარჩებოდა. მთავარმართებელმა პირობა მისცა, რომ ყველაფერს პირნათლად აასრულებს რუსეთი, თუ სოლომონი მუდამ ერთგული იქნებოდა რუსეთის მთავრობისა. გამოთხოვებისას სოლომონმა სთხოვა, რომ ჯამაგირი დაენიშნათ და ნება ჰქონოდა საკუთარის ჯარების ყოლისა, როგორც მეფე!. გარდა ამისა, სურვილისა და საჭიროების თანახმად ნება ჰქონოდა ცვლილებანი შეეტანა დადებულს პირობებში. ციციანოვმა გადაჭრილი უარი უთხრა ყველაფერზედ. — სირცხვილიაო ჯამაგირის თხოვნა, რადგანაც მთელი შემოსავალი სამეფოსი შენს ხელთა რჩებაო და ერთხელ დადებულის ტრაქტატებისა და პირობების შეცვლაზედ ფიქრიც კი შეუძლებელიაო, რადგანაც ყოველივე პირობა სასტიკის სიწმინდით უნდა იყვეს დაცული და აღსრულებულიო.

ასე მოხდა ძალა-უნებური ვასსალური შეერთება იმერეთისა. გახარებული საქმის ასე ადვილად დამთავრებით და მთელი ქვეყნის თოფ-ზარბაზნის გაუსროლელად ხელში ჩაგდებით ციციანოვი იმპერატორისადმი მიწერილს აღფრთოვანებულს წერილს იმერეთის შეერთების შესახებ ასე ათავებს: „უფლისა განგებით საქართველოს სამეფო 1390 წელს დაყოფილ - დანაწილებული ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოებად და სამეგრელოს სამთავროდ საქართველოს მეფის ალექსანდრე პირველისაგან, სრულიად რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველისაგანვე იქმნა გაერთიანებული.“[5]

ზ. ედილი.

---

[5] Акты ტ. II.

აქაურები წინად ინტენსიურად მისდევდნენ საქონლის მოვლა-მოშენებას, ეხლა-კი ყველანი მევენახეობას ეტანებიან. კახეთის საუფლისწულო მამულების დამუშავების მიხედვით ბევრად უფრო კარგად შეისწავლეს ვენახის ხელი, ვიდრე წინად იცოდნენ: შორ და შორ რგავენ ვაზებს და აბამენ მავთულებზე. ამის გამო ვენახებმა დაიჭირეს 714 დეს. მიწაზე მეტი და ღვინოც საუკეთესო ღირსებისა დგება. წელს საპალნე ღვინო 100 მ. იყიდება, წინა წლებში კი 60—70 მ. ზევით არ მიდიოდა.

წასულ წლების დაგვარად ამ ორ სოფელს გადასახადად აქვს 16,563 მ. და 89 კაპ., მაგრამ ამას ვინ-და სჩივის, რომ ძველის გადახდევინება ერთბაშად სულს არ უხუთავდეს ხალხს. სოფ. ანაგას სახემწიფო და საერობო გადასახადები ეთვლება წინანდელი 37,925 მ. და 60 კაპ., ხოლო ვაქირს—22,178 მ. და 72 კაპ. ამნაირად ორივე სოფელმა უნდა გარდაიხადოს წელს ძველიან-ახლიანად ზედ 1,000 მ. დამატებით, რომელიც ხან დაცდილად ეთვლებათ სულ 67,858 მ. 21 კ. როგორი ჯამია სოფლელებისთვის მკითხველო!

აი ცნობებიც, თუ როგორ არის განაწილებული გამოსადეგარი მამული:

	ანაგას	ვაქირს
ურწყავი	2499,4 დეს	—3367,5 დ.
საძოვარი	220,1 დ.	—1263,1 დ.
ჯაგნარი	12,6 დ.	— 126,7 დ.

ამათ რომ დავუმატოთ სამოსახლო და სავენახე მიწების რაოდენობაც, გამოვა, რომ ს. ანაგას ჰქონია გამოსადეგარი მამული 3268,7 დ. და ს. ვაქირს 5165,1 და სულ ორივეს 8433,8 დ... ამგვარად თითო სულზე მოდის დახლოვებით 1,7 დ., მაშინ როდესაც ჩერნიგოვის გუბერნიდან ალაზან გაღმა ახლად დასახლებულ უკრაინელებს თითო სულზე ნორმად დაუდეს 4 დეს. და ისიც გაცილებით უფრო ნოყიერი და სარწყავი მიწები. შენიშნულია, რომ ქართულ სოფლებში ინტელიგენცია ძლიერ ნაკლებია. აქაც ასეა. ამიტომაც არის, რომ დღემდე არავითარი გონების გასართობი დაწესებულება არ გააჩნიათ აქაურებს.

ზოგიერთ პირებს ადვილად მიაჩნიათ წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა რამდენიმე ათი მანეთითაცა, მაგრამ ძალიან სცდებიან და აი, რატომ. ქ. თელავს დღემდე ვერ შეუნახავს თავისი ბიბლიოთეკა და უსახსრობისა გამო მალ-მალე იკეტება, სიღნაღმა ხომ ვერცკი დაიარსა, და ბევრ სოფლებისა და დაბებიდანაც ხშირად ვკითხულობთ უსახსრობისა გამო ადგილობრივი სამკითხველო დაიკეტა და დიდიხანია შიგ თაგვები ბინადრობენო. რომ ჩვენც მათი ბედი არ გვეწიოს, საჭიროა ორივე სოფელი შევუერთდეთ და წიგნთსაცავს შევქმნათ დაუშრეტელი წყარო არსებობისა და არა კმარა, წიგნთ-საცავის მაგიდაზე ეწყოს ორიოდე ჟურნალ-გაზეთი და ათიოდე წიგნაკი, არამედ მა მას უნდა ჰქონდეს ყოველ გვარი დარგის წიგნები თავისი სისტემატიურ კატალოგით და სხ.

წიგნთ-საცავის უშრეტ წყაროდ საწევრო ფულს გარდა, შეიძლება მოხდეს ორივე სოფელს შუა მდებარე ანაგის ხევი, რომლის სიგრძეს ადვილად შეუძლიან მოითავსოს იარმუკა. თუ წიგნთსაცავის კომიტეტი ამას ხელს მოჰკიდებს და შემოიღებს აქ ბაზრობას, მაშინ სოფლის საზოგადოებანი ამ ადგილს დიდის სიამოვნებით გარდასცემენ, რადგან დღემდე მათთვის უვარგისი ადგილი, ხვალ ორგვარ სარგებლობის მიმცემად გარდაიქცევა—სწავლა განათლების და ვაჭრობის მხრივ. ახლო მახლო სოფლებიდანაც ეს ადგილი მიიზიდავს ბევრ ხალხს და მალე შეიქნება წინამხარის საუკეთესო სავაჭრო ცენტრად, რომელსაც მომავალი კახეთის რკინის გზაც თავისი სიახლოვით ბედს გაუშლის.

ნ. ბ,

ქალაქის საბჭო

3 მაისს ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომაზე ა. ი. ხატისოვმა მოხსენება წაიკითხა ნიაღვრისგან დაზარალებულთა შესახებ. მან სხვათა შორის სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით 150 მან. ზარალს გვთხოვენ დაზარალებულნიო. ბევრი ილაპარაკა ამის შესახებ ხმოსანმა ზახბუდაგოვმა და ამტკიცებდა, ქალაქი სრულიადაც პასუხის მგებელი არ არის ნიავღვრისაგან დაზარალებულთა წინაშეო. მას მხარი მისცეს ხმ. ფრიდონოვმა და სხვებმა. შემდეგ გაირჩა რამდენიმე საქმე და ყველაზედ მეტი კამათია გამოიწვია დამფასებელ კომისიის მოხსენებამ შესახებ დაფასების წესდებისა მე-ოცე მუხლისა. ნამეტნავად ბევრი ილაპარაკა ხმ. ენფინჯიანცმა სახლის პატრონების და სავაჭრო და ქარხნების სასარგებლოთ. მის წინაამდეგ ილაპარაკა დამფასებელ კომისიის თავმჯდომარემ ბ. ტიგრანოვმა, რომელიც უმტკიცებდა, რომ სახლის პატრონები კი არ იხდიან გადასახადს, არამედ მდგმურები, ამისთვის ტყუილად იწუხებს თავს ხმ. ენფინჯიანციო.

ბოლოს საბჭომ გადასწყვიტა სავაჭრო დაწესებულების შესახებ იხელმძღვანელოს გამგეობის წინადადებით, დანარჩენზე კი დაეთანხმა დამფასებელ კომისიის წინადადებას.

კრიტეს საქმე

ბოლგარელების აზრი კრიტეს საქმეზე.

ბოლგარიის პოლიტიკური წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კრიტეს სახალხო კრების დარბაზში მომხდარმა ინციდენტმა. ფიქრობენ, რომ საბერძნეთი ეხლა ისარგებლებს ოსმალეთის მდგომარეობით, ალბანიასთან ბრძოლით და ეცდება კრიტეს საკითხი თავის სასარგებლოდ გადასწყვიტოს. ნაციონალისტები ურჩევენ მთავრობას მეტად ფრთხილად და ენერგიულად ადევნოს თვალყური კრიტეს საქმეების კითხვებს. ბოლგარების თანაგრძნობა ბერძნებისაკენაა.

გერმანია და ავსტრია კრიტეს ამბებზე.

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ კრიტეს სახალხო კრებამ საბერძნეთის მეფის ერთგულობაზე ფიცი მიიღო. ასეთ საქციელს შეუძლიან საქმე გაართულოსო.

ავსტრიის პოლიტიკური წრეებშიაც დიდი მითქმა-მოთქმა კრიტეს საქმეებზე, უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ კრიტელ დეპუტატების საქციელს სერიოზული შედეგი არ მოჰყვებაო. დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი ერთ ნაბიჯსაც არ გადსდგამს სანამ არ გაიგებს, თუ რა ზომებს მიიღებს აპირებენ კრიტეს მფარველი სახელმწიფოები.

ოსმალეთი და კრიტე.

სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავრობა დიდს სამზადისშია იმ შემთხვევისთვის, თუ კრიტეს და საბერძნეთს ომი დასჭირდა, საბერძნეთის წყლებში გაიგზავნა ესკადრა 18 გემისაგან შემდგარი, საბერძნეთის საზღვრისაკენ იგზავნება არტილერიაო.

მოძრაობა ალბანიაში

მუქარის წერილი.

ოსმალეთის დიდმა ვეზირმა მუქარის წერილი მიიღო ალბანელების აღმასრულებელ კომიტეტისაგან. ალბანელები უთვლიან, აუცილებლად მოგკლავთ თუ კვლავ ძველ პოლიტიკას აწარმოებ ალბანიაში.

ჯარის უკმაყოფილება და ტურგუტ-ფაშა.

ალბანიაში გაგზავნილი ჯარის ერთი ნაწილი უკმაყოფილოა ტურგუტ-ფაშას მოქმედებით. სამხედრო მინისტრმა სალონიკიში მოიწვია სამხედრო კრება, სადაც ითათბირეს იმაზე თუ რამ გამოიწვია ჯარის უკმაყოფილება ტურგუტ-ფაშის წინაამდეგ. მთავრობა გადააყენებს ტურგუტ-ფაშას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად გამოირკვევა, რომ უკმაყოფილება სერიოზულ ნიადაგზეა აღმოცენებული. გამოძიებას მოახდენს პირადად თვით სამხედრო მინისტრი, მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა.

სამხედრო მოქმედების შეჩერება.

სალონიკში გამართულ სამხედრო კრებას, სხვათა შორის, დაესწრნენ მესამე კორპუსის აფიცრებიც. კრებამ დიდხანს ითათბირა, საჭიროა თუ არა შევაჩეროთ სამხედრო მოქმედება, ალბანელებთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგაო. მესამე კორპუსის შტაბის უფროსმა ალი-რიზა ფაშამ სთქვა, უმჯობესია მოლაპარაკება გავმართოთ ალბანელებთან, დროებით შევაჩეროთ ბრძოლა, რადგან საკმაო ჯარი არა გვყავს მოძრაობის ჩასაქრობადაო.. როგორც ეტყობა, ამ აზრს სამხედრო წრეებში ბევრი მომხრე ჰყავს, საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. როდესაც სამხედრო მინისტრი მაჰმუდ-შევკეთ ფაშა სტამბოლში დაბრუნდება, მაშინ გადასწყდება თუ რა გზას დაადგებიან ალბანელების შესახებ.

სპარსეთი

საყოველთაო სწავლება.

ამ ჟამად მეჯლისი იხილავს საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ პროექტს. პროექტით ღარიბები უფასოდ ისწავლიან, დანარჩენები მეტად მცირე ფასს გაიღებენ. სოფლად გაიხსნება ევროპის ტიპის სკოლები. სასკოლო ხარჯის დასაფარავად უნდა დაწესდეს სასკოლო გადასახადი, რომელიც განაწილებული იქნება თანასწორად სოფლის მცხოვრებთა და მემამულეთა შორის. ეს პროექტი მიიღეს პირველ წაკითხვის შემდეგ. მალე პროექტს მუხლ-მუხლად განიხილავენ. პროექტის განხილვის დროს მომხსენებელი სოფლის მცხოვრებთ „საპატებს“ ანუ ყმებს ეძახდა. ერთმა დეპუტატმა შენიშნა, არ შეიძლება მაგ სიტყვის ხმარება, რადგან თავისუფალ ქვეყანაში შეუძლებელია ყმების ყოლაო. შესწორება მიიღეს.

პარლამენტი და შინაური სესხი.

პარლამენტის ფინანსიურმა კომისიამ განიხილა საკითხი შინაურ სესხის აღებაზე და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: სესხის დახარჯვას მეჯლისმა უნდა გაუწიოს კონტროლიო, სესხის აღების, მოწესრიგებისა და თვალყურის დევნისათვის მეჯლისმა ამოირჩია განსაკუთრებული კომისია და კომისიაში დეპუტატების გარდა მოწვეულნი იქნებიან გარეშე პირებიც და უცხოელებიც. კომისიამ დაადგინა, ევროპიდან მოიწვიოს სპეციალისტი ფინანსისტი, რომელიც ჩაუდგება სათავეში შინაურ სესხის მომწესრიგებელ კომისიას და ხელმძღვანელობას გაუწევს.

საქალაქო თვითმართველობა.

ქერმან ბ.ხში გაიხსნა „ბალადიე“ საქალაქო თვითმართველობა, რომელიც ენერგიულად შეუდგა ქალაქის საქმეების მოწესრიგების საქმეს. ბალიდიეს თაოსნობით ქალაქში გაიხსნა საჯარო სამკითხველო.

უცხოეთი

სპარსეთის საქმეები.

ზენჯანში ცოტას გასდა აჯანყებამ არ იფეთქა. გარდაიცვალა რეაქციონერი მოლა ყურბან-ალი. დაკრძალვის დროს იმისი მომხრეები ხალხში აგიტაციას ეწეოდნენ სპარსეთის კონსტიტუციის წინააღმდეგ, მღელვარება პოლიციამ ჩააქრო. დააპატიმრეს 12 მეთაური და, ზოგის ცნობით, დაპატიმრებულნი უკვე ჩამოუხრჩვიათ.

არდებილის ახლოს მთებში აფაზაკებს და ეფრემის რაზმს შეტაკება მოუხდათ. აფაზაკები დამარცხდნენ. მოკლულია 40 და დატყვევებული 200 აფაზაკი, დანარჩენები გაიფანტ-გამოიფანტნენ.

ინგლისელების გამარჯვება.

აქამდის რუსეთის ბანკი აბარებდა სპარსეთს ფულის მოსაჭრელ ვერცხლს და ამის გამო დიდი სარგებლობა ჰქონდა. წელიწადში რამდენიმე ათი-ათასი მანეთი მოგება რჩებოდა. ეხლა სპარსეთის მთავრობას უპირატესობა ინგლისისათვის მიუცია და ვერცხლსაც ინგლისი ჩააბარებს.

მიწის ძვრა კოსტრიკაში.

დეპეშებიდან ვიცით, რომ კოსტრიკაში დიდი მიწის ძვრა იყო, უფრო შესამჩნევი იყო ეს მიწის ძვრა ქალაქ კარტაგოში, რომელიც მდებარეობს პანამის ყელის ჩრდილოეთით. ქალაქში 10,000 მცხოვრებია, მიწის ძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც ერთი სახლი არ გადარჩენილა დაუზიანებლად, ადამიანთა მსხვერპლიც მეტად დიდია. უბედურების პირველ დღეს ნანგრევებიდან ამოიღეს 350 კაცის გვამი. ზოგის ცნობით სულ 6000 კაცია დაღუპული. მიწის ძვრა მოხდა კოსტორიკის სხვა ადგილებშიაც და მეზობელ ამერიკის სხვა რესპუბლიკებშიაც, მაგრამ არსად ასეთი დიდი ვნება არ მოუტანია, როგორც კარტაგოში. რკინის გზები და ტელეგრაფი გაფუჭებულია. ხალხი მეტად თავზარდაცემულია.

დრამატიურგი კნუტ ჰამსუნი ბიერნსონის სიკვდილზე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა მწუხარებაში ჩავარდა პატარა ნორვეგია, მან დაჰკარგა თავისი საუკეთესო შვილი ბიერნსტერნ ბიერნსონი. ყველა განათლებული ადამიანი იცნობს ამ სახელოვან და დიდებულ მამულიშვილს ნორვეგიულმა მწერალმა კნუტ-ჰამსუნმა რამდენიმე გრძნობით ადსავსე სტრიქონები უძღვნა თავის სახელოვან თანამემამულეს. აი რას სწერს კნუტ ჰამსუნი:

„ჩვენმა დიდებულმა. მხცოვანმა ბიერნსონმა ბრძოლაში განუტევა სული. სიკვდილმა გაიმარჯვა, თუმცა ბიერნსონი მედგრად ებრძოდა მას.

ბიერნსონი გარდაიცვალა. ჩვენ, ნორვეგიელებს, არ გვინდა დავიჯეროდ და შევურიგდეთ ამას. ბევრი ერი იგლოვებს ნორვეგიის დანაკლისს მაგრამ განა ეს შეიძლება შევადაროთ იმას, რასაც ნორვეგია განიცდის? ნორვეგიისათვის ბიერნსონის დაკარგვა საშინელი თავზარდამცემი ამბავი იყო. ეს ამბავი დრმად ჩასწვდა გულში ნორვეგიულ ქალსა და კაცს. ყველა ჰგლოვობდა მამულიშვილს, როგორც თავის მეტად ახლობელ არსების დაკარგვას. ყველამ ერთბაშად გონება თავი ჩვეულებრივ ფუსფუსსა და თავდავიწყებას, ყველა ერთის მწვავე გრძნობით განიმსჭვალა—დავკარგეთ დიდებული ადამიანიო. ნორვეგიას დიადაც შეჰფერის გლოვა. არც ერთ შვილს ნორვეგიისას არ ჩაუდენია ისეთი საქმე, როგორც ბიერნსონმა. იყო დრო, როდესაც იმის კისერზე იყო ჩამოკიდებული მეტად დიდი ტვირთი ქვეყნის სვე-ბედის გამგებლობისა. ის მონაწილეობას იღებდა ყველაფერში,—ერეოდა ყველგან—შინაურ თუ საგარეო პოლიტიკაში, ლიტერატურულ შემოქმედების ყველა დარგში და მშობელ ერის ჭირსა და ლხინში. ის ყველას და ყველაფერს აღვიძებდა—სამოქმედოდ იწვევდა. დიახ, ნორვეგიელებს აქვთ საწუხარი და უნდა იწუხონ.“

ინგლისელი სოციალისტის აზრი მეფე ედუარდზე.

სოციალისტების ლიდერმა ვილკრუსმა ედუარდის სიკვდილის წინ გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“ ემღერათ. მე პირადად ვიცნობ მეფეს და უნდა ვაღიარო, რომ ის დიდებული სახელმწიფო მოღვაწე მთელ ქვეყანაზე. მშვიდობიანობის საქმე უზრუნველყოფილი იქნება, სანამ მას ასეთი დამცველი ჰყავს, როგორც ედუარდი, რომელიც ყველაზე მაღლა სდგას—კონსერვატორებს, ლიბერალებსა და სოციალისტებზე. ის ჩვენი მამაა, და ჩვენი გულწრფელი ვედრება ის უნდა იყოს, რომ მეფე ხელიდან არ გამოგვეცალოსო.

როდესაც სოციალისტების ლიდერმა ცნობა მიიღო ედუარდის გარდაცვალებაზე, იმან დეპეშა გაუგზავნა მეფე გეორგს და სამძიმარი გამოუცხადა.

რუსეთი

✦ **როსკიპ ქალების წერილი.** მკითხველს მოეხსენება, რომ ამ დღეებში პეტერბურგში გაიმართა პროსტიტუციასთან საბრძოლველი კრება. კრებამ უკვე თავისი მუშაობა დაამთავრა და დაიშალა კრებას, სხვათა შორის, 13 როსკიპ ქალისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიუღია: „ჩვენ ქვემორე ამის ხელის-მომწერელნი, სწორედ როსკიპი ქალები, ვთხოვთ კრებას აგვისრულოს ჩვენი უმორჩილესი თხოვნა. როსკიპ ქალების უმრავლესობა უბედურ გზას სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ახალგაზრდობაში ადგება. პირველ ხანებში როსკიპი ქალი ჯანსაღია, თავს კარგად გრძნობს, მაგრამ თანდა თან იგი ავადმყოფდება და ათას-ნაირ გადამდებ სენით ხდება ავად. თითქმის ყველა როსკიპი ქალი ვენერიულ ავადმყოფობით არის ავად. ეს ჩვენი ბრალი კი არ არის, არამედ იმათი, ვინც ყველა ვიგინდარა მამაკაცს ჩვენთან უშვებს და იმისთვის არა ზრუნავს. ავადმყოფია მამაკაცი თუ არა. თავის დღეში არავის არ მოუვა აზრად, რომ მამაკაცები დასაჯონ. ჩვენ, როსკიპ ქალებს გვთხოვენ კვირაში რამდენჯერმე გავესინჯოთ ექიმს, სულ უბრალო მიზეზისა გამო საავადმყოფოებში გვგზავნიან, მაგრამ გასაკვირველია, რატომ ამასვე არა სთხოვენ ჩვენ სტუმრებს? რაა მიზეზი, რომ ყველას შეუძლიან სამუდამოდ გაგვაუბედუროს? ყველა ჩვენი სტუმრები ბავშვები არ არიან და უნდა იცოდნენ, რომ გადამდებ სენის გავრცელება არ ვარგა და დანდობა უნდა თუნდაც როსკიპ ქალსაც და არავის უფლება არა აქვს სიფილისი შეჰყაროს მას. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, ჩვენთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა, მოხუცებულობა ისედაც მწარეა ჩვენთვის. უმორჩილესად ვთხოვთ კრებას, მოგვაქციოს ყურადღება და ისე მოაწყოს საქმე, რომ ჩვენთან სტუმრად არ მოდიოდნენ ვენერიულ ავადმყოფობით შეპყრობილნი და როგორც ჩვენ გვთხოვენ ჯანმრთელობას, ისე ჩვენ სტუმრებს მოსთხოვონ. უმორჩილესად გთხოვთ წაიკითხოთ ჩვენი ქაღალდი კრებაზე. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც შეიგნებენ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ამიტომ ჩვენც უნდა დაგვინდონო. გთხოვთ ჩვენთვისაც ეცადოთო.

✦ **საინტენდანტოს მოხელეების გაჩხრეკა.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სენატორ გ.რინის განკარგულებით გაუჩხრეკიათ მოსკოვის საინტენდანტოს მოხელეები. გაჩხრეკის დროს რამდენიმე ეტლით წაუღიათ სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ოქტომბრისტების ფრაქციის საპარლამენტო ბიურომ იმ ოქტომბრისტ-დეპუტატებს, რომლებიც ამ ჟამად პროვინციაში არიან, დეპეშები გაუგზავნა და სთხოვა საჩქაროდ ჩამოვიდნენ პეტერბურგს და დაესწრნენ ფინლიანდიის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას.

✦ **პოლონეთში.** პოლონელ დეპუტატების სიტყვით, უკანასკნელ ხანებში პოლონეთის სხვა და სხვა ადგილას დაუპატიმრებიათ აუარებელი პოლონელი მუშა და საზოგადო მოღვაწე. ბრალდებათ 1905 წელს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება.

✦ **თვით-მკვლელობა სასწავლებლებში.** სატახტო ქალაქის გაზეთებს პროვინციის სხვა და სხვა ქალაქებიდან ატყობინებენ: სასწავლებლებში ეგზამენები დაიწყო და თანაც სასწავლებლებში თვითმკვლელობა გახშირდა. დღე ისე არ გავა, რომ რამდენიმე მოწაფემ თავი არ მოიკლასო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, მოსკოვში 3, უფაში 4, ეკატერინოსლავში 1, ოდესაში 2, ვარშავაში 1 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: მოსკოვში 2, ვარშავაში 1, უფაში 3, ხარკოვში 1, ოდესაში 2 კაცი.

✦ **ხოლერა.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, რუსეთში კვლავ ხოლერა გაჩნდა. ხოლერას პეტერბურგშიაც ელიან. ამიტომ უკვე შესდგომიან სამზადისს. ამბობენ, რომ ხოლერა შარშანდელივით ძლიერი იქნება და ბევრს იმსხვერპლებსო.

✦ **ფინლიანდიის სეიმი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში საჩქაროდ დაუბარებიათ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ზეინი. ამბობენ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაითხოვოს ფინლიანდიის სეიმი და მიტომ დაიბარეს გენერალ-გუბერნატორი ზეინიო.

✦ **3 ივნისის საარჩევნო კანონის გაფართოვება.** სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატების სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს გააფართოვოს 3 ივნისის საარჩევნო კანონი. განზრახულია 3 ივნისის კანონი თურქესტანზედაც გაავრცელონ და ამიერ-კავკასიაში ისევე მოახდინონ არჩევნები, როგორც შიდა რუსეთში. ამბობენ, რომ პრემიერ-მინისტრს სტოლიპინს უკვე მოლაპარაკება ჰქონდა პარტიების ლიდერებთანაო.

✦ **საროსკიპო სახლების დახურვა.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, პროსტიტუციასთან მებრძოლმა კრებამ პეტერბურგში დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ მთელ რუსეთში დაიკეტოს საროსკიპო სახლები. „რეჩი“-ს სიტყვით, კრების წევრებს გაუგიათ, რომ მთავრობა მალე ბრძანებას გასცემს საროსკიპო სახლების გაუქმების შესახებ. კერძოდ მცხოვრებ როსკიპ ქალებს თვალ-ყურს ადევნებენ სპეციალური ორგანოები.

✦ **ს.-დ. ორგანიზაციის დაპატიმრება.** ქ. ბახმუტში პეტროვის ქარხნებში დაუპატიმრებიათ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია (17 კაცი) და დაუკეტიათ სტამბა.

✦ **სათათბირო და ფინლიანდიის საკითხი.** კულუარებში ის აზრი ტრიალებს, რომ სათათბიროს საოპოზიციო პარტიებს გადაუწყვეტიათ, როდესაც ფინლიანდიის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა იქნება, ყოველივე ღონე იხმარონ 100 ოპოზიციის დეპუტატზე ნაკლებ არასოდეს არ დაესწრნენ. ამით მათ ნაკაზის ძალით შეძლება უქნებათ, რამდენიც სურთ იმდენს ხანს განაგრძონ კამათი კანონ-პროექტის შესახებ. ოქტომბრისტებს და მემარჯვენეთ კი გადაუწყვეტიათ, ამგვარ ობსტრუქციის წინაამდეგ იხმარონ შემდეგი ხერხი: შეიტანონ წინადადება ნაკაზის შეცვლისა იმგვარად, რომ კამათის გაგრძელებისთვის საჭირო იყოს არა ასი, არამედ 150 ხმა.

✦ **დეკ. ვოსტორგოვი.** „კასპი“-ს გაუგია, რომ ცნობილი შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი გადაჰყავთ მარიენბადში საელჩოს ეკლესიის წინამძღვრად.

განცხადებანი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲓᲝᲙᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიან.

ᲔᲥᲘᲛᲘ ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—93)

ПРЕВОСХОДНЫЙ
ГЛЯНЦЪ ЛАКЪ
ДЛЯ ЧИСТКИ
ОБУВИ
ФАБРИКИ
А. ЗАКСЪ
С.ПЕТЕРБУРГЪ КАЗАНСКАЯ 6
А. ЗАКСЪ
С.ПЕТЕРБ.
КАЗАНСКАЯ
№ 6
SCHUHE

(Мєтцль и К. N 43014) (10—ნ.—3)

ᲘᲕ. ᲒᲠ.
ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲐᲜᲘ
იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება“-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—13)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.